



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-3/10220
27/10/2021

10220-15-3-2-202110271034



საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წინადადება

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსი პროკურორი [REDACTED] მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველს არაერთი პირი მიმართავს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევისა და გენერალური ინსპექციების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტურობასთან დაკავშირებით. გახშირებული მომართვიანობის გამო, სამართალდამცავი უწყებების გენერალური ინსპექციის საქმიანობის ხარისხი ჩვენი შესწავლის საგანი გახდა. აპარატმა შეისწავლა სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური ინსპექციების, მათ შორის, საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის¹ საქმიანობის პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე - საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. მოცემული კვლევის შედეგები სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში აისახა.²

¹ ამჟამად, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია.

² საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“, ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf>>.

ამჯერად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა კიდევ ერთი საქმე, სადაც საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმების არასრულყოფილად ჩატარების ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, 2019 წლის თებერვალში სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა N [REDACTED] პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა [REDACTED] იგი მიუთითებდა გამოკითხვისას პროკურორის მხრიდან განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტზე. მოცემული საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ ხსენებულ ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმება სრულყოფილად არ ჩატარდა. კერძოდ, სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელმა პირმა სრულად არ მოიძია [REDACTED] [REDACTED] მიერ მისთვის მიწოდებული დეტალების შესახებ ისეთი ინფორმაცია, რაც პროკურორის მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენის ან უარყოფის რეალურ შესაძლებლობას მისცემდა.

ფაქტობრივი გარემოებები

[REDACTED] სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ განცხადებაში უთითებდა, რომ დაკავების შემდეგ გამოიკითხა პოლიციის განყოფილებაში, რა დროსაც პროკურორმა [REDACTED] მის მიმართ განახორციელა ფსიქოლოგიური ზეწოლა.

[REDACTED] განცხადება აპარატის მიერ შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა საქართველოს გენერალურ ინსპექციაში.³ უწყებიდან გვეცნობა, რომ შესწავლილ იქნა მსჯავრდებულ [REDACTED] მიერ მითითებული ფაქტი, თუმცა პროკურორის მხრიდან მსგავსი ქმედების ჩადენა არ დადასტურდა.⁴

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა და შეისწავლა ზემოხსენებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები. მასალების თანახმად, სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო აპარატის მიმართვისა და მასზე თანდართული [REDACTED] განცხადების საფუძველზე.

2019 წლის 12 მარტს, N [REDACTED] პენიტენციურ დაწესებულებაში, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსი პროკურორი [REDACTED] გაესაუბრა მსჯავრდებულ [REDACTED]

გასაუბრებისას [REDACTED] განმარტა, რომ იგი დააკავეს 2018 წლის 11 იანვარს, რის შემდეგაც გადაიყვანეს ქ. თბილისში, [REDACTED] მდებარე პოლიციის განყოფილებაში. იმავე დღეს, მისი გამოკითხვის დროს, დაახლოებით 23:00 საათზე, ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა პიროვნება. როგორც შემდგომ გაიგო, იგი იყო პროკურორი [REDACTED] მან ყვირილით მიმართა: „შე მკვლელი, იცი რას გიზამ, ციხეში

³ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 11 მარტის N 15-3/2774 წერილი.

⁴ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 5 ივლისის N13/49237 წერილი.

ამოგალპობ, ეს რა ჩაიდინე“... „შენ რა უნდა მოგისმინო, მკვლეელი ხარ და ციხეში ამოგალპობ“.

მსჯავრდებულმა ასევე მიუთითა, რომ პროკურორ [REDACTED] დამშვიდება სცადა გამომძიებელმა. ამავე მიზნით, ოთახში შემოვიდა სხვა პოლიციელი, რომელმაც [REDACTED] გაიყვანა ოთახიდან. აღნიშნულის შემდეგ, [REDACTED] ნახა სასამართლო პროცესზე, სადაც მის მიმართ მუქარას ან ზეწოლას ადგილი არ ჰქონია.

სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გამოთხოვილ იქნა და დათვალიერდა [REDACTED] ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალები.

პროკურორმა [REDACTED] ასევე, ახსნა-განმარტება ჩამოართვა ქ. თბილისის [REDACTED] რაიონული პროკურატურის პროკურორ [REDACTED] მან უარყო [REDACTED] შეხვედრისა და საუბრის ფაქტი პოლიციის განყოფილებაში. მისი თქმით, ბრალდებულს იგი პირველად შეხვდა ალკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გამართულ სასამართლო პროცესზე.

გამომძიებელმა [REDACTED] კი განმარტა, რომ დაკავების შემდეგ, [REDACTED] ბრალდებულის სახით გამოკითხვას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის [REDACTED] სამმართველოს [REDACTED] განყოფილებაში მდებარე თავის სამუშაო ოთახში, რომელიც მდებარეობს განყოფილების მეორე სართულზე. ამავე კაბინეტში სხედან სხვა გამომძიებლებიც. გამოკითხვა მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში. [REDACTED] განმარტებით, [REDACTED] გამოკითხვას პროკურორი [REDACTED] არ დასწრებია. მისი თანდასწრებით, [REDACTED] ბრალდებულს არ შეხვედრია.

[REDACTED] უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტის გადამოწმების მიზნით, სხვა ღონისძიებები არ გატარებულა.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლის დისციპლინური გადაცდომის კატეგორიები განსაზღვრულია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.⁵

საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 29 ოქტომბრის N6 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) დებულება განსაზღვრავს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

⁵ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 76, ნაწ. 7.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს განეკუთვნება პროკურატურის ორგანოებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი; პროკურატურის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის, შეუფერებელი საქციელის ჩადენის ანდა კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტის გამოვლენა და რეაგირება; აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; აგრეთვე, პროკურატურის თანამშრომელთა მიერ დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის დროს სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და გენერალური პროკურორისთვის წარდგენა.⁶

დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია:

- სამსახურებრივი შემოწმების პროცესში მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) პროკურატურის თანამშრომლისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია;⁷
- საჭიროებისამებრ, განსახილველი საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, გამოიძახოს პროკურატურის ნებისმიერი თანამშრომელი და მიიღოს მისგან ახსნა-განმარტება, რა დროსაც პროკურატურის თანამშრომელი ვალდებულია გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება გააკეთოს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ თანამშრომელთან გენერალური პროკურორის სახელზე;⁸
- ჩამოართვას ახსნა-განმარტება, ანდა მიიღოს ინფორმაცია იმ პირებისაგან, რომლებიც არ არიან პროკურატურის თანამშრომლები, მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე⁹;
- სამსახურებრივი საჭიროების შესაბამისად, საჯარო და კერძო დაწესებულებებიდან გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია.¹⁰

ამდენად, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსი პროკურორი [REDACTED] კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო მოცემული სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას გულდასმით შეემოწმებინა [REDACTED] მიერ დაფიქსირებული პრეტენზია მისი უფლებების შელახვის შესახებ და მოეპოვებინა ყველა შესაძლო ინფორმაცია მითითებული ფაქტის შესახებ, რაც არ განხორციელებულა.

კერძოდ, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, შედგა გასაუბრება [REDACTED] [REDACTED] ასევე, ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ პროკურორ [REDACTED]

⁶ საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 2, ქვეპ. „ა“ და „ბ“.

⁷ იქვე, მუხ. 3, ქვეპ. „თ“.

⁸ იქვე, მუხ. 3, ქვეპ. „ი“.

⁹ იქვე, მუხ. 3, ქვეპ. „კ“.

¹⁰ იქვე, მუხ. 3, ქვეპ. „ნ“.

და გამომძიებელ [REDACTED] რომლებმაც უარყვეს [REDACTED] პრეტენზია. სამსახურებრივი შემოწმების ჩამტარებელი პირი, ფაქტობრივად, მხოლოდ ამ ინფორმაციით დაკმაყოფილდა. უფროსი პროკურორი [REDACTED] არ დაინტერესდა შესაძლო ფაქტის შესახებ სხვა, მათ შორის, ნეიტრალური ინფორმაციის მოპოვებით. სამსახურებრივი შემოწმების მასალებით არ დასტურდება არცერთი მოქმედება ასეთი ინფორმაციის მოპოვების მცდელობისთვისაც კი.

მაგალითად, სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში არ ჩატარებულა შემდეგი მოქმედებები:

- არ მოძიებულა ინფორმაცია, მითითებულ დროს, იმყოფებოდნენ თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის [REDACTED] სამმართველოს [REDACTED] განყოფილებაში სხვა თანამშრომლები;
- ასეთის დადასტურების შემთხვევაში, არ შეეთავაზათ პოლიციის განყოფილებაში მყოფ პირებს ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ნებაყოფლობით საწყისებზე და ინფორმაციის მოწოდება, ხომ არ გახდნენ [REDACTED] მიერ აღწერილი ფაქტის შესაძლო მოწმეები ან/და, მითითებულ დროს იმყოფებოდა თუ არა საერთოდ, პროკურორი [REDACTED] პოლიციის განყოფილებაში;
- არ გამოთხოვილა ინფორმაცია, არსებობდა თუ არა პოლიციის მითითებულ განყოფილებაში განთავსებული ვიდეოკამერების რელევანტური დროის ჩანაწერები;¹¹
- არ შეუთავაზებია პროკურორ [REDACTED], ნებაყოფლობით წარმოედგინა მის სარგებლობაში არსებული ტელეფონის ნომრის მომსახურე მობილური ოპერატორი კომპანიიდან მისი გადაადგილების შესახებ ინფორმაცია (ე.წ. ანძების ამონაწერი), რაც დაადასტურებდა ან უარყოფდა [REDACTED] ყოფნას სამსახურებრივი შემოწმებისთვის საინტერესო დროს და ადგილას.

ყველა შესაძლო, მათ შორის, ნეიტრალური ინფორმაციის მოპოვების გარეშე, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება, ბუნებრივია, არაეფექტიანია და განხორციელებული რეაგირება ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს.

ამრიგად, როდესაც მოქალაქე მიუთითებს მისი უფლებების შელახვის ფაქტზე და სამსახურებრივი შემოწმების პროცესში არ ხდება ყველა შესაძლო ინფორმაციის მოპოვება და მოქალაქის პრეტენზიის საფუძვლიანი გადამოწმება, ბუნებრივია, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ვერ მიიჩნევა ობიექტურ და სრულყოფილ რეაგირებად ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე. მსგავსი სახით სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება ვერ იქნება ორიენტირებული მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე და

¹¹ მართალია, [REDACTED] მიერ აღწერილი შესაძლო ფაქტიდან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების დროისათვის გასული იყო საკმაოდ დიდი დრო და შესაძლოა ჩანაწერების მოპოვება შეუძლებელი ყოფილიყო, მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ ინფორმაციის მოპოვების მცდელობაც კი არ იკვეთება.

ხელს ვერ შეუწყობს უწყების ამოცანების ეფექტიან შესრულებასა და მის მიმართ საზოგადოებაში ნდობის გაზრდას.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსმა პროკურორმა [REDACTED] სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა არასრულყოფილად, რითიც, მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობა არაჯეროვნად შეასრულა. კერძოდ, მან სამსახურებრივი შემოწმების პროცესში არ ამოწურა ყველა შესაძლებლობა, მოეპოვებინა ინფორმაცია [REDACTED] მიერ დაფიქსირებული ფაქტის გადამოწმების მიზნით, რამაც ხელი შეუშალა განმცხადებლის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების შესწავლას და გამოვლენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:

1. დაიწყოს დისციპლინური საქმისწარმოება საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსი პროკურორის [REDACTED] მიმართ;
2. განაახლოთ სამსახურებრივი შემოწმება [REDACTED] უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტზე, რომლის ფარგლებშიც მოპოვებულ იქნება ამომწურავი ინფორმაცია ფაქტის ირგვლივ.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

